მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA, CITY HALL OF MESTIA MUNICIPALITY

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება №15
2021 წლის 08 თებერვალი
დაბა მესტია

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მესტიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში სოფლის მხარდაჭრის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე" და „ე.ი" ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „თ" ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის 1- ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭრის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების" პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა"ქვ/პუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის (რეგ:114/1–01/06) მომართვის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებში პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს მესტიის მუნიციპალიტეტში პროგრამის პროცედურების განხორციელების, საპროექტო წინადადების მიღების, საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში კონსულტირების, მოსახლეობასთან ურთიერთობისა და ინფორმირების მიზნით ჩამოყალიბდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

N	სახელი, გვარი	თანამდებობა, პოზიცია	ტელეფონის ნომერი
1	ირაკლი ქურდიანი	მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	599855560
2	ლერი არღვლიანი	I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი	591447497
3	ბესარიონ გულედანი	მესტიის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე	591053585
4	ლამარა მჭედლიანი	ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის -	599721216

		ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი	
5	ხატია წიკლაური	ადმინისტრაციული სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	595089530
6	ლაშა ჯაფარიძე	ადმინისტრაციული სამსახურის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების III რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	599805787
7	ლაშა ჩართოლანი	ზედამხედველობის სამსახურის დამხმარე სპეციალისტი ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურულ საკითხებში	595708151
8	მარიკა არღვლიანი	ვებ-გვერდ "სვანეთინიუსის" ადმინისტრატორი	551815588
9	მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში		

2.სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადებების ფორმა განთავსდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mestia.gov.ge;

3.მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მატერიალური ფორმით ან/და ზეპირი სახით მიღება დაევალოთ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურს (მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი #1; ტელ: +995599721216) და მესტიის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს; საპროექტო წინადადებების მიღება ასევე განხორციელდეს ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: lanamchedliani@gmail.com;

4.კომისიის მუშაობას თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში უზრუნველყოფენ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები;

5.სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 22 თებერვალი, 17:00 საათი.

6.ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონული სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ.ლაღიძის. №12)

კაპიტონ ჟორჟოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

ინდ: 3200.დ.მესტია
სეტის მოედანი N–1
gamgeobamestia@yahoo.com

ტელ: +995 591 05 92 38
ვებგვერდი:www.mestia.gov.ge